



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დადგენილება №06-01/20

ქ. ბათუმი

12 მარტი, 2020 წ.

პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი
(შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 05 თებერვლის №06-01/06 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების 2020 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დანართი 1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) გეგმა დანართი 2-ის შესაბამისად.
3. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 თებერვლის №06-06/15 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დამტკიცდეს პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა (წინამდებარე დადგენილების დანართი №1).
4. წინამდებარე დადგენილების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორს.
5. დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს (რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, სტრატეგიული

განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს და იურიდიულ დეპარტამენტს.

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი

მერაბ ხალვაში



პროფესიული განათლების მიმართულებით
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
განვითარების ერთწლიანი გეგმა

2020 წელი

ამოცანა	აქტივობები	განხორციელების ვადები										პა სუბსიმგებ ელი/ გა ნმახორციე ლებელი პირები	სს ვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებუ ლებისა)	შესრულების ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები	დამიან ური და მატერი ალური რესურ სი			
			I	II	V		I	II	III	X						I	II	
სტრატეგიული მიზანი N 1: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მუდმივი განახლებისა და განვითარების ხელშეწყობა																		
1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება	1.1.1. ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაზე ზრუნვა ხარისხის ციკლის შესაბამისად: დაგეგმე-განხორციელე- შეაფასე-განავითარე													კე ნტრის დირექტო რი;	დ ამსაქმებლ ები; კურსდამთ ავრებულე ბი	დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;	სუ-ს ადამია ნური და მატერი ალური რესურ სი	
	1.1.2. ბაზრის კვლევის საფუძველზე ახალი პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება													ხა რისხის მართვის მენეჯერი;		პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;		
														პ როფესიუ ლი საგანმანათ ლებლო პროგრამებ ის ხელმძღვან ელები		პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ავტორიზებული პროგრამები;	საგანმანათლებლ ო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.	ავტორიზებული

	გატარება														მენეჯერი; სპ ეციალური განათლებ ის მასწავლებ ელი; სს სსმ სტუდენტ ის ასისტენტი	ს სამინისტრ ოს ინკლუზი ური განათლებ ის დეპარტამე ნტი	ინდივიდუალურ ი სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია; საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; პროფესიულ სტუდენტთან ინტერვიუს შედეგების ანალიზი.	
2.2. პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ლონისძიებების გაუმჯობესება	2.2.1. სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის სამსახურის წარმომადგენლის საინფორმაციო შეხვედრები პროფესიული განათლების სტუდენტებთან														ცმ ნტრის დირექტო რი; სა სწავლო პროცესის მენეჯერი;		პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარი და შედეგები; დამატებითი/არა ფორმალური აქტივობების ჩატარების ამსახველი მასალა;	
	2.2.2. შეხვედრები სტუდენტურ თვითმმართველობასთან																	
	2.2.3. დამატებითი აქტივობების (კურიკულუმის გარეშე) წახალისებისა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმების შექმნა																	
2.3. სტუდენტური სერვისების	2.3.1. ბსუ-ს სტუდენტურ პორტალში პროფესიული განათლების სტუდენტთა ჩართვა														ს ტუდენტთ ა კარიერულ		პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებასთან დაკავშირებით	

																<p>და სამოქმედო გეგმები;</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;</p> <p>შრომითი ხელშეკრულებების ნიმუში;</p> <p>პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტაცია;</p> <p>პერსონალთან ინტერვიუს შედეგების ანალიზი;</p> <p>ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები/ CV/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;</p>	
<p>3.2. პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა</p>	<p>3.2.1. მექანიზმების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ დარგში არსებული სიახლეების და მიღწევების დაუფლებას (მეთოდური ტრენინგები);</p> <p>სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო კონფერენციები და სამუშაო შეხვედრები).</p>											<p>ცმ ნტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;</p> <p>ცმ ნტრის ხარისხის მართვის მენეჯერი.</p>		<p>პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები და რეგულაციები;</p> <p>პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგები;</p> <p>პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგები;</p>			

																		განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალა; პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.	
	3.2.2. საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების ჩატარება პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის													ცმ ნტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;				შემუშავებული სასწავლო და კვლევითი უნარების ხელშეწყობის მექანიზმები; გაზრდილი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენცია სწავლებისა და შეფასების მიმართულებით; გაზრდილი პერსონალის კომუნიკაციის უნარები უცხოურ ენაზე.	აკუთარი და მოძიებული სახსრებით
	3.2.3. სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია და პერსონალის წახალისების უზრუნველყოფა													ცმ ნტრის ხარისხის მართვის მენეჯერი.					
სტრატეგიული მიზანი N 4: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა																			
4.1. მატერიალური რესურსისა და ინფრასტრუქტურის განვითარება	4.1.1. სასწავლო ფართის მოწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად													ცმ ნტრის დირექტორი, ბს უ-ს შესაბამისი სამსახურები			ბს-ს საკუთრებაში არსებული ქონების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; მომრავი ქონების, მათ შორის სასწავლო რესურსის დამადასტურებელი	აკუთარი და მოძიებული სახსრებით	

	4.1.2. ბიბლიოთეკის ფონდის განახლება														სა სწავლო პროცესის მენეჯერი		<p>დოკუმენტაცია;</p> <p>სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების რეგულაცია;</p> <p>ბიბლიოთეკის ფონდი, მათ შორის ელექტრონული კატალოგი;</p> <p>პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;</p> <p>პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ინფორმაციული რესურსებით, სპეციალური პროფესიული ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები</p>	
4.2. პერსონალისა და პროფესიული სტუდენტის უსაფრთხოების დაცვა	4.2.1. პერსონალისა და პროფესიული სტუდენტისათვის უსაფრთხოების წესების გაცნობა და სწავლების უზრუნველყოფა												ბს უ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები;	ჟს ლაქის შესაბამისი სამსახურე ბი	ცმ ნტრის დირექტორი		<p>პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმების მოქმედების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;</p> <p>საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, წესი და შესაბამისი დოკუმენტები;</p>	

„დამტკიცებულია“

“პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ”
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 მარტის N06-01/20 დადგენილებით

დანართი 2



პროფესიული განათლების მიმართულებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) გეგმა

2020-2026 წლები

2020 წელი

პროფესიული განათლება საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად განიხილება. პროფესიული განათლება ერთის მხრივ, უზრუნველყოფს შრომის ბაზარს კვალიფიციური კადრებით, ხოლო მეორეს მხრივ, ის ხელს უწყობს ახალგაზრდებისა და ზრდასრულების დასაქმებას და კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში-ბსუ) აცნობიერებს საკუთარ როლს ამ კონტექსტში, ამიტომაც საკუთარი მისიიდან და სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთიანი სტრატეგიის გათვალისწინებით, შეიმუშავა პროფესიული განათლების მიმართულებით განვითარების გრძელვადიანი (2020-2026 წლები) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს. დაგეგმვის პროცესი იყო ღია, გამჭვირვალე და საჯაროდ ხელმისაწვდომი.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალმა, პროფესიული განათლების მასწავლებლებმა, პროფესიულმა სტუდენტებმა, პარტნიორმა დაწესებულებებმა (დამსაქმებლებმა), კურსდამთავრებულებმა.

<p style="text-align: center;">ძლიერი მხარე</p> <ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის მზარდი ცნობადობა და ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში; • პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება; • პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული მაღალი დარგობრივი კომპეტენციების მქონე პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი; • თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და/ან პროფესიულ ასოციაციებთან; • თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ადაპტირებული გარემო, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი; • პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისადმი საზოგადოების ინტერესის ზრდა; • კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი; • სახელმწიფო დაფინანსება. 	<p style="text-align: center;">სუსტი მხარე</p> <ul style="list-style-type: none"> • საზოგადოების ინფორმირების საშუალებების სიმწირე; • დარგობრივი კომპეტენციებისა და პედაგოგიური გამოცდილების თანხვედრის სიმწირე; • დამსაქმებელთა დაბალი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცესში; • პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და პროფესიული სტუდენტების ენობრივი ბარიერი; • პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მეთოდური ლიტერატურის (განსაკუთრებით ქართულენოვანი) სიმწირე.
<p style="text-align: center;">შესაძლებლობები</p> <ul style="list-style-type: none"> • რეგიონის საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განხორციელება; • საერთაშორისო საგრანტო პროექტების მეშვეობით დაფინანსების ახალი წყაროების მოძიება; • პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავება/განხორციელება. 	<p style="text-align: center;">საფრთხეები</p> <ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივ დონეზე პროფესიული განვითარების ნაკლები შესაძლებლობა; • პროფესიული განათლების სფეროს საკანონმდებლო მარეგულირებელი აქტების ხშირი ცვლა.

--	--

სტრატეგიული მიზანი N 1: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მუდმივი განახლებისა და განვითარების ხელშეწყობა

N	ამოცანა	წლები							შესრულების ინდიკატორი/ მოსალოდნელი შედეგები	პასუხისმგებელი პირი/პირები
		2020	2021	2022	2023	2024	2025	2026		
1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება	*	*	*	*	*	*	*	დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები; საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.	ცენტრის დირექტორი; ხარისხის მართვის მენეჯერი; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები
2	საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა	*	*	*	*	*	*	*	პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები; მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები; ბსუ-ს საბიბლიოთეკო ფონდი;	ცენტრის დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის

									პროგრამების ბიუჯეტი; განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.	მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები
3	საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	*	*	*	*	*	*	*	დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია; პროფესიული სტუდენტების რეგისტრაციის, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი; შრომის ბაზრის ანალიზი; პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.	ხარისხის მართვის მენეჯერი
4	სასწავლო პროცესის ორგანიზება სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით	*	*	*	*	*	*	*	საგანმანათლებლო პროგრამები; კალენდარული გეგმები; ბსუ-ს და პრაქტიკის ობიექტებს შორის გაფორმებული მემორანდუმები; ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (საჭიროების შემთხვევაში); პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან	სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი;

									ინტერვიუს შედეგები;	
5	ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და სამართლიანი/ობიექტური შეფასების სისტემის შექმნა/განვითარება	*	*	*	*	*	*	*	სწავლის შეფასების სისტემის მარეგულირებელი წელი; შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგების ანალიზი; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და მტკიცებულებები; პროფესიულ მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგების ანალიზი.	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სპეციალისტი

სტრატეგიული მიზანი N 2: პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერა და სტუდენტური სერვისების განვითარება

N	ამოცანა	წლები							შესრულების ინდიკატორი/ მოსალოდნელი შედეგები	პასუხისმგებელი პირები
		2020	2021	2022	2023	2024	2025	2026		
1	სოციალურ-ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა	*	*	*	*	*	*	*	ბსუ-ს მარეგულირებელი აქტები; ბსუ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია; საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; პროფესიულ სტუდენტთან ინტერვიუს	ცენტრის დირექტორი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; სპეციალური განათლების მასწავლებელი; სსსსმ

									შედეგების ანალიზი.	სტუდენტის ასისტენტი;
2	პროფესიული მხარდაჭერის გაუმჯობესება	სტუდენტის ღონისძიებების	*	*	*	*	*	*	პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარი და შედეგები; დამატებითი/არაფორმალური აქტივობების ჩატარების ამსახველი მასალა;	
3	სტუდენტური განვითარება	სერვისების	*	*	*	*	*	*	პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებასთან დაკავშირებით დაგეგმილი/განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია/ფოტო მასალა და სხვა; პროფესიულ სტუდენტთან ინტერვიუს შედეგების ანალიზი.	სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი

სტრატეგიული მიზანი N 3: პერსონალის განვითარების ხელშეწყობა

N	ამოცანა	წლები							შესრულების ინდიკატორი/ მოსალოდნელი შედეგები	პასუხისმგებელი პირები
		2020	2021	2022	2023	2024	2025	2026		
1	პერსონალის მართვის სისტემის შემუშავება/განვითარება	*	*	*	*	*	*	*	ბსუ-ს წესდება, სტრუქტურა, შინაგანაწესი; პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება; ცენტრის პერსონალის სამუშაო აღწერილობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები; ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;	ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი.

									<p>შრომითი ხელშეკრულებების ნიმუში;</p> <p>პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტაცია;</p> <p>პერსონალთან ინტერვიუს შედეგების ანალიზი;</p> <p>ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები/ CV/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;</p>	
2	პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა	*	*	*	*	*	*	*	<p>პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები და რეგულაციები;</p> <p>პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგები;</p> <p>პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგები;</p> <p>განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალა;</p> <p>პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.</p>	<p>ცენტრის დირექტორი;</p> <p>ხარისხის მართვის მენეჯერი;</p> <p>სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი</p>
სტრატეგიული მიზანი N 4: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა										
N	ამოცანა	წლები							შესრულების ინდიკატორი/ მოსალოდნელი შედეგები	პასუხისმგებელი პირები
		2020	2021	2022	2023	2024	2025	2026		

1	მატერიალური რესურსისა და ინფრასტრუქტურის განვითარება	*	*	*	*	*	*	*	<p>ბსუ-ს საკუთრებაში არსებული ქონების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;</p> <p>მოძრავი ქონების, მათ შორის სასწავლო რესურსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;</p> <p>სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების რეგულაცია;</p> <p>ბიბლიოთეკის ფონდი, მათ შორის ელექტრონული კატალოგი;</p> <p>პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი.</p>	<p>ცენტრის დირექტორი,</p> <p>ბსუ-ს შესაბამისი სამსახურები</p>
2	პერსონალისა და პროფესიული სტუდენტის უსაფრთხოების დაცვა	*	*	*	*	*	*	*	<p>პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმების მოქმედების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;</p> <p>საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, წესი და შესაბამისი დოკუმენტები;</p> <p>სახანძრო უსაფრთხოების წესი, გეგმა;</p> <p>შენობის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი.</p>	<p>ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები;</p> <p>ცენტრის დირექტორი</p>
3	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება	*	*	*	*	*	*	*	<p>ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი);</p> <p>პერსონალის და სტუდენტთა ინფორმირების</p>	<p>ცენტრის დირექტორი;</p> <p>ბსუ-ს შესაბამისი სამსახურები;</p>

									ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემა.	სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი
4	ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით მიზნებისა და საქმიანობის დისემინაცია	*	*	*	*	*	*	*	<p>ბსუ-ს ოფიციალური ვებ გვერდი (ორენოვანი) და სოციალური ქსელი;</p> <p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;</p> <p>სარეკლამო ბუკლეტები, ბანერები, ფლაერები, ვიდეო რგოლი;</p> <p>პროფორიენტაციის ღონისძიებებისა და სარეკლამო კამპანიის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა.</p>	სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/21

ქ. ბათუმი

12 მარტი, 2020 წ.

ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამის „პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება“
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№23-15/02 10.03.2020) ამონაწერისა და დეკანის ლელა თურმანიძის მოხსენებითი ბარათის (MES 0 20 00296480, 12.03.2020) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება“ **დანართი 1-ის** შესაბამისად.
2. წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებულ პროგრამაზე (მოცულობა - 120 კრედიტი, ხანგრძლივობა - 2 სასწავლო წელი) **სწავლის წლიური საფასური** განისაზღვროს 2250 ლარით და დამტკიცდეს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.
3. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცდეს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება“ ხარჯთაღრიცხვა, რომელიც ძალაში შევიდეს წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრული პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში.
4. დადგენილება დაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს, შესაბამის ფაკულტეტს პროგრამის ხელმძღვანელს ასოც. პროფ. მადონა მიქელაძეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი

მერაბ ხალვაში



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/22

ქ. ბათუმი

12 მარტი, 2020 წ.

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგრამის „ეკოლოგია“ დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№3, 05.03.2020) ამონაწერის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკოლოგია“ დანართი 1-ის შესაბამისად.
2. წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებულ პროგრამაზე (მოცულობა - 120 კრედიტი, ხანგრძლივობა - 2 სასწავლო წელი) სწავლის წლიური საფასური განისაზღვროს 2250 ლარით და დამტკიცდეს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.
3. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცდეს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეკოლოგია“ ხარჯთაღრიცხვა, რომელიც ძალაში შევიდეს წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრული პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში.
4. დადგენილება დაეფუძნოს წარმომადგენლობით საბჭოს, შესაბამის ფაკულტეტს პროგრამის ხელმძღვანელებს ასოც. პროფ. ნინო ლომთათიძესა და ასოც. პროფ. ნანი გვარიშვილს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი

მერაბ ხალვაში